

# **“ტექნოლოგიური პროცესების დაპროგრამება ObjectARX რესურსის ბაზაზე”**

თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნათა ზრდასთან ერთად სულ უფრო რთული ხდება პროექტირების პროცესის ორგანიზება. მაგალითად რთული დეტალების დაპროექტებისათვის და მათი დამზადებისათვის საჭირო ტექნიკური პროცესის დაპროექტებისათვის საჭიროა დამპროექტებელთა ფართო ჯგუფის მიერ საკმაოდ დიდი და შრომატევადი სამუშაოს ჩატარება, დიდი რაოდენობით ტექნიკური ნახატებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შექმნა. აქედან გამომდინარე, დაპროექტების ოპტიმიზაციის მიზნით, სულ უფრო ხშირად გამოიყენება ავტომატიზებული დაპროექტება.

არსებობს მრავალი საპროექტო-საკონსტრუქტორო სისტემა, რომელთა შორისაც ყველაზე გავრცელებული და ცნობილი სისტემაა AutoCAD-ი. AutoCAD-ი წარმოადგენს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ საპროექტო-საკონსტრუქტორო სისტემას, რომელსაც იყენებენ მიღიონობით დამპროექტებლები არქიტექტურაში, მანქანათმშენებლობაში, ელექტრომექანიკაში და სხვა მრავალ დარგში.

მეორე მხრივ სამანქანათმშენებლო ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზებული დაპროექტება, ტრადიციულად გამოირჩევა გრაფიკული და კერძოდ კი გეომეტრიული ამოცანების მრავალფეროვნებითა და დიდი მოცულობით. ამიტომ, ამ ამოცანების გადაწყვეტა AutoCAD\_ის რესურსებით, მომხმარებლის აპლიკაციის დამუშავების გზით, წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას.

სამუშაოს მიზანია AutoCAD-ის გარემოში, მისი რესურსების გამოყენებით, სამანქანათმშენებლო ამოცანის გადაწყვეტის საშუალებებისა და შესაძლებლობების გამოკვლევა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა. ამ მიზნით ჩატარებული იქნა AutoCAD-ის დაპროგრამების რესურსის ანალიზი. (ნახ 1 – 3 - 4 ). ზემოთ ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე აშკარად ჩანს რომ, AutoCAD\_ის დაპროგრამების ObjectARX ტექნოლოგიას გააჩნია ყველაზე ფართო შესაძლებლობები AutoCAD\_ის შიდა, Windows\_ის და Kernel ბიბლიოთების ობიექტებით მანიპულირებისათვის. ამის შემდეგ, შერჩეულ იქნა სამანქანათმშენებლო ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზებული დაპროექტების ამოცანია რომელიც თავისთვალი ითვალისწინებს საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური დაპროექტების ეტაპების დამაკავშირებელი პრეპროცესორის სისტემის შექმნას. ამ პრეპროცესორის სისტემის შექმნა განხორციელდა ObjectARX ტექნოლოგიას გამოყენებით. პრეპროცესორის შექმნა განპირობებულია შემდეგი ამოცანების გადაჭრის მიზნით:

1. საკონსტრუქტორო ნახაზიდან ოპერაციული ნახაზის მიღების ამოცანა.
2. ოპერაციული ნახაზის შემოწმება.
3. კოორდინატთა სისტემის ტრანსფორმაცია.
4. საყრდენი წერტილების კოორდინატების დადგენა.